



165

სარეგისტრაციო ნომერი: 11/143919-2

თარიღი: 27-10-11

ქალაქ თბილისის მერს  
ბ-ნ გ.უგულავას

ბატონო გიორგი,

2011 წლის 30 სექტემბერს №11/138873-7 განცხადებით მივმართეთ ქალაქ თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსს და ვთხოვეთ მოეწოდებინა ინფორმაცია: "ქ.თბილისის ტერიტორიაზე 2011 წელს ჩატარებული ფიტო-სანიტარული კვლევების შესახებ, კერძოდ:

1. ფიტო-სანიტარული კვლევის განმხორციელებელი ორგანიზაციები (საიდენტიფიკაციო კოდებით).
2. ფიტო-სანიტარული კვლევის განმხორციელებელ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებები;
3. ფიტო-სანიტარული კვლევისას ჩატარებული ლაბორატორიული ექსპერტიზების განმხორციელებელი ორგანიზაციები და მათ მიერ გაცემული დასკვნები,
4. გამოყენილი დაავადებების სამკურნალოდ გაცემული რეკომენდაციები;
5. განხორციელებული ფიტო-სანიტარული კვლევების რაოდენობა, ობიექტების ჩამონათვალი, მისამართები, თითოეულ ობიექტზე ჩატარებული კვლევების შინაარსი;"

მიუხედავად იმისა რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და 40-ე მუხლების მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს და უყუვნებელი ვ. დღემდე, 2011 წლის 27 ოქტომბრამდე, არანაირი პასუხი არ მიგვიღია, ხოლო მერიის ცხელი ხაზის მეშვეობით გადამოწმებისას გვიპასუხეს რომ პასუხი არცაა მზად.

ბატონო გიორგი,

ზემოაღნიშნული ნორმების დარღვევა, სამწუხაროდ არაა პირველი შემთხვევა ზოგადად ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების მხრიდან.

გთხოვთ დაავალოთ ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს გასცეს ჩვენს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

ააიპ "უსაფრთო სივრცის"

თავმჯდომარე

/ა.გაბრიძე/